საქმე №3/1318-14

1395009998034

www.info.court.ge

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით

29 სექტემბერი, 2014 წელი ქ. თბილისი

შესავალი ნაწილი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
მოსამართლე - ნინო ბუაჩიძე
სხდომის მდივანი - სალომე შუბითიძე

მოსარჩელე - ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

მოპასუხე - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

დავის საგანი - ქმედების განხორციელების დავალება

აღწერილობითი ნაწილი

1. სასარჩელო მოთხოვნა:

1.1. ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ 2014 წლის 27 იანვრის №OPD01/14-016 განცხადების პირველი, მე-2, მე-4, მე-5, მე-7, მე-8, მე-9 და მე-10 პუნქტებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემა (იხ.: დაზუსტებული სარჩელი, სხდომის ოქმი);

2. მოპასუხის პოზიცია

მოპასუხემ წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და თვლის, რომ სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან მათ მიერ გაცემულია მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია სრულად, იმ სახით, როგორადაც იგი არსებობდა.

3. სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

3.1. ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა 2014 წლის 27 იანვარს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართა №OPD01/14-016

განცხადებით, რომლითაც საჯარო ინფორმაციის სახით შემდეგი ინფორმაცია მოითხოვა: 1. 2013 წელს სამინისტროს თანამდებობის პირებზე (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით) დარიცხული პრემიების ოდენობა თვეების მიხედვით; 2. 2013 წელს სამინისტროს თანამდებობის პირებზე (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით) დარიცხული სახელფასო დანამატების ოდენობა თვეების მიხედვით; 3. მინისტრის და მისი მოადგილეების უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ქსეროასლები; 4. 2014 წლის იანვრის თვეში მინისტრის სამუშაო ელექტრონული ფოსტიდან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლები; 5. 2013 წელს სამინისტროს მიერ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები (კონკრეტული ღონისძიებების ჩამონათვალის, თითოეულზე დახარჯული თანხის, ღონისძიების ჩატარების დროის, ადგილისა და მოწვეულ სტუმართა და სამინისტროსაგან წარმოდგენილ დასმწრე პირთა ოდენობის მითითებით); 6. 2013 წელს თანამდებობის პირების (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით) მიერ როუმინგულ მომსახურებაზე გაწეული ხარჯები; 7. 2013 წელს სამინისტროს თანამდებობის პირების ქვეყნის გარეთ განხორციელებულ ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების (სასტუმრო, მგზავრობა, დღიური და სხვა) შესახებ ინფორმაცია (ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით), მივლინების თარიღის, მივლინების მიზნისა და ქვეყნის მითითებით; 8. 2013 წელს საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის თანახმად, შესყიდვის გადაუდებლად განხორციელების აუცილებლობის შესახებ შესაბამისი მიწერილობა (წერილობითი შეთანხმება) შემსყიდველის ზემდგომ ან სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოსთან/თანამდებობის პირთან; 9. 2013 წელს გადაუდებელი აუცილბელობით განხორციელებული შესყიდვების სია, შესყიდვების სახეობის, მოცულობის, ობიექტისა და თანხის მითითებით; 10. იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და კომპიუტერული ტექნიკის სია, რომელიც სახელმწიფო შესყიდვების მოქმედი კანონმდებლობით ახალი, იმავე ან გაუმჯობესებული პარამეტების მქონე ერთი ან ერთზე მეტი ავტოსატრანსპორტო საშუალებით, კომიუტერული ტექნიკით ჩანაცვლდა (თითოეულის მიმართ ახალი ღირებულებისა და ჩასანაცვლებელი ქონების შეფასებული ღირებულების მითითებით); 11. სამინისტროს ბალანსზე რიცხულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე 2013 წელს გაწეული ტექნიკურ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯების შესახებ ინფორმაცია; 12 2013 წლის აუდიტორული შემოწმების აქტები; 13. 2013 წელს აუდიტორული შემოწმების შედეგების ამსახველი ინფორმაციის სამართალდამცავ ორგანოებში გაგზავნის შემთხვევების რაოდენობა; 14. 2013 წელს აუდიტორიული შემოწმების შედეგად დასაქმებულთათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შემთხვევების ოდენობა (პასუხისმგებლობების ფორმის, სახისა და გამოყენების თარიღის მითითებით); 15. 2013 წელს მაკონტროლებელი (როგორც შიდა უწყებრივი, ისე გარე) ორგანოების მიერ შემოწმებით გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად გატარებულ ღონისძიებათა ნუსხა (მათი მოკლე აღწერილობის მითითებით).

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის 2014 წლის 27 იანვრის №OPD01/14-016 განცხადება;

3.2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2014 წლის 5 მარტის №01/13928 წერილის თანახმად, განმცხადებელს ეცნობა შემდეგი: 1. 2013 წელს ფინანსთა სამინისტროს თანამდებობის პირებზე დარიცხული პრემიების რაოდენობა შეადგენს - 175365 ლარს; 2. 2013 წელს ფინანსთა სამინისტროს თანამდებობის პირებზე დარიცხული სახელფასო დანამატების ოდენობა შეადგენს 648819 ლარს. ასევე ეცნობა, რომ ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელი თანამდებობის პირთა ხელფასების და პრემიების შესახებ დეტალური ინფორმაციის გაცნობა შესაძლებელი იყო www.declaration.gov.ge ვებ-გვერდზე. 3. განცხადების მე-3 პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაცია განმცხადებელს გაეგზავნა დანართის სახით. 4. ფინანსთა მინისტრის ელ-ფოსტიდან სამსახურებრივ საქმიანობასთა დაკავშირებით მიღებულ-გაგზავნილი წერილები არ წარმოადგენენ საჯარო ინფორმაციას; 5. 2013 წელს ფინანსთა სამინისტრომ უმასპინძლა 33 საერთაშორისო დელეგაციას (დელეგაციების შემადგენლობაში სხვადასხვა შემთხვევაში შედიოდა 3-დან 80-მდე ადამიანი). მათი მასპინძლობისათვის ფინანსთა სამინისტროს ბიუჯეტიდან დაიხარჯა 188 395,40 ლარი. დელეგაციების, მისიებისა და ვიზიტების შესახებ ინფორმაციის მოძიება შეიძლებოდა ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.mof.ge. 6. 2013 წელს ფინანსთა სამინისტროს თანამდებობის პირების როუმინგულ მომსახურებაზე გაწეული ხარჯი შეადგენს 1461,83 ლარს; 7. 2013 წელს ფინანსთა სამინისტროს თანამდებობის პირების ქვეყნის გარეთ განხორციელებულ ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული ხარჯი შეადგენს 143554.73 ლარს (მათ შორის: დღიური - 41277.25 ლარი; სასტუმრო - 53665.01 ლარი; მგზავრობა 45869.57 ლარი, სხვა ხარჯები 2742.90 ლარი); 8. ფინანსთა სამინისტროს მიერ 2013 წლის განმავლობაში გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელდა 294890.43 ლარის ოდენობის საქონლის/მომსახურების შესყიდვა; 9. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის თანამდებობის პირებზე განპიროვნებული 17 ავტომანქანის ტენიკური მომსახურების ხარჯი 2013 წლის განმავლობაში შადგენს 36005.30 ლარს; 10. 2013 წელს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატისათვის ჩანაცვლების წესით შეძენილ იქნა 22 ავტომანქანა, ღირებულებით - 212805.00 ლარი; 11. აუდიტორული შემოწმების შესახებ განმცხადებელს ეცნობა, რომ 2013 წელს აუდიტორული შემოწმება ფინანსთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში არ განხორციელებულა.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2014 წლის 5 მარტის №01/13928 წერილი;

3.3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2014 წლის 28 მარტის №08-02/20572

წერილის თანახმად, ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს უარი ეთქვა 2014 წლის 18 მარტს წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2014 წლის 28 მარტის №08-02/20572 წერილი;

სამოტივაციო ნაწილი:

4. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

სასამართლო, საქმეში დაცული მასალების განხილვისა და მხარეთა მოსმენის შედეგად, მიიჩნევს, რომ ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

5. კანონები, რომლებითაც სასამართლომ იხელმძღვანელა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი; საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს №219 დადგენილება;

6. სამართლებრივი შეფასება

6.1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის "მ" ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო- და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია.

ამავე კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საჯარო ინფორმაცია ღია, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა.

ამავე კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დედანში. თუ არსებობს დედნის დაზიანების საფრთხე, საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობის ქვეშ მისი გაცნობის შესაძლებლობა ან

წარუდგინოს სათანადო წესით დამოწმებული ასლი.

6.1.1 სასამართლო აღნიშნავს, რომ ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის 2014 წლის 27 იანვრის №OPD01/14-016 განცხადების პირველი და მე-2 პუნქტები შეეხებოდა 2013 წელს სამინისტროს თანამდებობის პირებზე (სახელობითად) დარიცხული პრემიებისა და სახელფასო დანამატების ოდენობას, თვეების მიხედვით. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ აღნიშნული ინფორმაცია გასცა არა იმ შინაარსით, როგორადაც მას განმცხადებელი მოითხოვდა, არამედ 2013 წელს გაცემული პრემიებისა და დანამატების ოდენობა დაჯამებული სახით. ამასთან, ადმინისტრაციულმა ორგანომ მიუთითა ვებ-გვერდზე, სადაც განთავსებულია თავად თანამდებობის პირების მიერ წარდგენილი დეკლარაციები. სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საჯარო ინფორმაციის ამ სახით გაცემა არ შეესაბამება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავით დადგენილ სტანდარტს. აღსანიშნავია, რომ თანამდებობის პირზე დარიცხულ პრემიას/დანამატს, თავად ამ პირის პერსონალური მონაცემების მითითებით გააჩნია საჯარო ინფორმაციის მახასიათებლები და დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში იგი უნდა გაიცეს იმ ფორმით, როგორადაც მას განმცხადებელი მოითხოვს. ამასთან, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა არ გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე (www.declaration.gov.ge) ვებ-გვერდზე მითითებას, სადაც ეს ინფორმაცია, თუნდაც იმავე შინაარსით, შეიძლება იყოს დაცული. ამ შემთხვევაში, დასახელებულ ვებ-მისამართზე გამოქვეყნებულია "საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" კანონში დასახელებული თანამდებობის პირების ქონებრივი დეკლარაციები. თანამდებობის პირის ქონებრივი დეკლარაცია შეიცავს მხოლოდ წინა წლის ანაზღაურებადი მუშაობით მიღებული შემოსავლის ჯამურ თანხას და საჯარო ინფორმაციის მომთხოვნი პირისათვის შეუძლებელია ერთიანი თანხის შემადგენელი კომპონენტების დიფერენცირება.

6.1.2. 2014 წლის 27 იანვარს წარდგენილი განცხადების მე-5 პუნქტით ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი მოითხოვდა სამინისტროს ეცნობებინა 2013 წელს გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯების ოდენობა (კონკრეტული ღონისძიებების ჩამონათვალის, თითოეულზე დახარჯული თანხის, ღონისძიების ჩატარების დროის, ადგილისა და მოწვეულ სტუმართა და სამინისტროსაგან წარმოდგენილ დასმწრე პირთა ოდენობის მითითებით); აღნიშნულ მოთხოვნაზე სამინისტრომ გასცა შემდეგი სახის ინფორმაცია: 2013 წელს ფინანსთა სამინისტრომ უმასპინძლა 33 საერთაშორისო დელეგაციას (დელეგაციების შემადგენლობაში სხვადასხვა შემთხვევაში შედიოდა 3-დან 80-მდე ადამიანი). მათი მასპინძლობისათვის ფინანსთა სამინისტროს ბიუჯეტიდან დაიხარჯა 188 395,40 ლარი. დელეგაციების, მისიებისა და ვიზიტების შესახებ ინფორმაციის მოძიება შეიძლებოდა ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.mof.ge.

ამავე განცხადების მე-7 პუნქტით განმცხადებელი მოითხოვდა 2013 წელს სამინისტროს თანამდებობის პირების ქვეყნის გარეთ განხორციელებულ ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების (სასტუმრო, მგზავრობა, დღიური და სხვა) შესახებ ინფორმაციას (ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით), მივლინების თარიღის, მივლინების მიზნისა და ქვეყნის მითითებით; აღნიშნულ მოთხოვნაზე სამინისტრომ გასცა შემდეგი სახის ინფორმაცია: 2013 წელს ფინანსთა სამინისტროს თანამდებობის პირების ქვეყნის გარეთ განხორციელებულ ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული ხარჯი შეადგენს 143554.73 ლარს (მათ შორის: დღიური - 41277.25 ლარი; სასტუმრო - 53665.01 ლარი; მგზავრობა 45869.57 ლარი, სხვა ხარჯები 2742.90 ლარი);

ამავე განცხადების მე-8, მე-9 და მე-10 პუნქტები შეეხებოდა სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების პროცედურის, სახეობების, მოცულობის, ჩანაცვლებული ტექნიკის თაობაზე და სხვა ინფორმაციის საჯაროობას.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2014 წლის 5 მარტის №01/13928 წერილი განცხადების მე-8 პუნქტთან მიმართებით ინფორმაციას არ შეიცავს. ეს ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვის პროცედურას წარმოადგენს. რაც შეეხება მე-5, მე-7, მე-9 და მე-10 პუნქტებს, სამინისტრომ მათზე (თითოეულისათვის) გასცა 2013 წელს გაწეული ხარჯის ჯამური მონაცემი.

მოპასუხის მიერ წარმომადგენლობითი ხარჯების განსაზღვრისათვის ადმინისტრაციული ორგანოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე ინფორმაციის მოძიების შესაძლებლობაზე მითითებას, სასამართლო ვერ მიიჩნევს საჯარო ინფორმაციის გაცემად, ვინაიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია დელეგაციების, მისიებისა და ვიზიტების თაობაზე, არ იძლევა ამ ღონისძიებებისათვის გაწეული ხარჯების გამიჯვნის შესაძლებლობას. რაც შეეხება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად, გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებული შესყიდვების თაობაზე წერილობითი შეთანხმების, შესყიდვების სიისა და სხვა ინფორმაციის (განცხადების მე-8, მე-9, მე-10 პუნქტები) გაცემას, სასამართლო მიუთითებს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-2 მუხლის "დ" ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, ამ კანონის მიზანია სახელმწიფო შესყიდვების საჯაროობის უზრუნველყოფა. სამინისტროს მიერ გაცემული პასუხი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონით გათვალისწინებულ რომელიმე გამონაკლისზე მითითებას არ

შეიცავს.

6.1.3. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს წესს: საჯარო ინფორმაციის მისაღებად პირი წარადგენს წერილობით განცხადებას. აუცილებელი არ არის, განცხადებაში მიეთითოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი ან მიზანი. ამდენად, განმცხადებელი საკანონმდებლო დანაწესით არ არის შეზღუდული მოითხოვოს კონკრეტული შინაარსის საჯარო ინფორმაცია. კანონმდებლის მიერ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მოტივისა და მიზნის მითითებისაგან განმცხადებლის გათავისუფლება გულისხმობს სწორედ იმასაც, რომ პირი თავად განსაზღვრავს ინფორმაციის შინაარსს მისთვის საჭირო მიზნობრიობიდან გამომდინარე.

მართალია, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია სხვა მონაცემით (წლიური ჯამის სახით) ასახა მის მიერ გაცემულ პასუხში, მაგრამ იგი ვერ აკმაყოფილებს განმცხადებლის ინტერესს გაეცნოს ადმინისტრაციულ ორგანოს მიერ საბიუჯეტო თანხების ხარჯვის მიზნობრიობას. ამგვარი ინფორმაცია ღიაა და ეფუძნება ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ნებისმიერი პირისათვის (საბიუჯეტო კოდექსის მე-4.1 მუხლის "ბ" ქვეპუნქტი).

გარდა ამისა, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37.1 მუხლის თანახმად, თავად განმცხადებელი არჩევს საჯარო ინფორმაციის მისთვის სასურველ ფორმას თუ საჯარო ინფორმაცია სხვადასხვა ფორმით არსებობს. მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებელს საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ვერსია არ მოუთხოვია, მით უმეტეს, რომ მის მიერ მოთხოვნილი კონკრეტული შინაარსის შემცველი ინფორმაციის ელექტრონული ვერსია სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული არ ყოფილა.

სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს მოპასუხის მითითებას ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების თაობაზე და მოიხმობს საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს №219 დადგენილებას. აღნიშნული ნორმატიული აქტის დანართი შეიცავს პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხას. ვებ-გვერდზე - www.mof.ge., - განთავსებულია საჯარო ინფორმაცია, მათ შორის თანამდებობის პირებზე დარიცხული პრემიების/დანამატებისა და სახელმწიფო შესყიდვების თაობაზე ინფორმაცია, რომელიც გამოქვეყნებულია ჯამური მონაცემით და განახლებადია ხსენებულ დადგენილებაში დაწესებული პერიოდულობით. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე მოითხოვდა საჯარო ინფორმაციის გაცემას, რომელიც მოიცავდა სრულ კალენდარულ წელს და დაჯგუფებული იყო კონკრეტული კრიტერიუმების მიხედვით. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის

მე-3 ნაწილის დანაწესი ემსახურება იმ მიზანს, რომ საჯარო ინფორმაციის მომთხოვნი პირი არ შეიზღუდოს პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციის შინაარსით და მისთვის სასურველი ინფორმაცია მიიღოს დადგენილი წესით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვალდებული იყო მიუხედავად ამა თუ იმ ინფორმაციის ელექტრონული ფორმით საიტზე გამოქვეყნებისა, გაეცა ზუსტად იმ შინაარსის ინფორმაცია, რაც განმცხადებლის მიერ იყო მოთხოვნილი.

6.1.4. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლი ადგენს საჯარო ინფორმაციის გაცემის წესს. აღნიშნული ნორმის პირველი ნაწილის მიხედვით, საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია, მათ შორის, ელექტრონული ფორმით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა, თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს: ა) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას; ბ) მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას; გ) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას.

მოცემულ შემთხვევაში ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ 2014 წლის 27 იანვარს წარდგენილ განცხადებაზე პასუხის გაცემა მოითხოვდა მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას. ამგვარად, აღნიშნული ნორმა ავალდებულებს ადმინისტრაციულ ორგანოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში გადაახარისხოს უკვე დამუშავებული მონაცემი წარმოდგენილი მოთხოვნის შესაბამისად და გასცეს იგი ზუსტად იმ ფორმითა და შინაარსით, როგორადაც მას ირჩევს საჯარო ინფორმაციის მომთხოვნი პირი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნით, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

ამავე კოდექსის 33[1] მუხლის მიხედვით, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას,

რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, განახორციელოს ეს მოქმედება ან თავი შეიკავოს ამ მოქმედების განხორციელებისაგან.

განსახილველ შემთხვევაში მოთხოვნას წარმოადგენს საჯარო ინფორმაციის გაცემა, რომელიც წარმოადგენს ქმედებას და მისი განხორციელების ვალდებულებაც კანონმდებლობით აკისრია მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს. ამგვარად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო კონკრეტული სახის ინფორმაცია დაემუშავებინა განცხადებაში მითითებული კრიტერიუმების შესაბამისად და მიეწოდებინა იგი მომთხოვნი პირისათვის. ამდენად, წარმოდგენილი სარჩელი ეფუძნება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლს და არსებობს მისი (დაზუსტებული მოთხოვნის ზემოთ ხსენებული პუნქტების) დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძვლები.

6.2. სასამართლო მიიჩნევს, რომ ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის 2014 წლის 27 იანვრის №OPD01/14-016 განცხადების მე-4 პუნქტის მოთხოვნა ვერ აკმაყოფილებს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნისათვის დადგენილ სამართლებრივ საფუძვლებს.

სასამართლო მოიხმობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის "მ" ქვეპუნქტს, რომლის თანახმად, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო- და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია.

მოსარჩელის მოთხოვნაა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტიდან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლები. ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის "ა.ა" ქვეპუნქტის მიხედვით, ელექტრონული დოკუმენტი არის ელექტრონული, ოპტიკური ან სხვა მსგავსი საშუალების გამოყენებით შექმნილი, გაგზავნილი, მიღებული ან შენახული წერილობითი ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს იურიდიული მნიშვნელობის ფაქტს ან იურიდიული მნიშვნელობის არმქონე ფაქტს. ამავე მუხლის "ა.ბ" ქვეპუნქტის თანახმად, მატერიალური დოკუმენტი არის ქაღალდზე ან სხვა მატერიალურ მატარებელზე წარმოდგენილი ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს იურიდიული მნიშვნელობის ფაქტს ან იურიდიული მნიშვნელობის არმქონე ფაქტს. ამდენად, ელექტრონული დოკუმენტი, მატერიალური დოკუმენტისაგან განსხვავდება მხოლოდ არსებობის ფორმით, ხოლო მათი შინაარსობრივი განმარტება იდენტურია. სასამართლოს

მოსაზრებით როგორც ელექტრონული, ისევე მატერიალური დოკუმენტი საჯარო ინფორმაციისათვის დადგენილ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს, თუ იგი ჩართულია საჯარო დაწესებულების დოკუმენტბრუნვის ერთიან სისტემაში და მისი დამუშავების, შენახვის, დაცვის და სხვ.. ვალდებულება კანონმდებლობით აკისრია საჯარო დაწესებულებას. გარდა ამისა, საჯარო ინფორმაციას წარმოადგენს დოკუმენტის საბოლოო სახე და არა მის შესაქმნელად წარმოებული მოსაზადებელი (სამუშაო) მასალა.

მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელი ითხოვდა 2014 წლის იანვრის თვეში მინისტრის სამუშაო ელექტრონული ფოსტიდან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლების გადაცემას. თუმცა მას არ მიუთითებია კონკრეტული შინაარსი, რაც დოკუმენტის საჯარო ინფორმაციად მიჩნევის შესაძლებლობას შექმნიდა. ამდენად, სასარჩელო მოთხოვნა ამ ნაწილში დაუსაბუთებელია და იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

7. საპროცესო ხარჯები

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული

ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა სარჩელის აღძვრისას სახელმწიფო ბაჟი - 100 ლარის ოდენობით გადაიხადა. სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების პირობებში მოპასუხე - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უნდა დაეკისროს მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 100 ლარის ნაწილის - 50 ლარის მოსარჩელის სასარგებლოდ ანაზღაურება. დარჩენილი ნაწილი უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილად.

სარეზოლუციო ნაწილი

სასამართლომ დამატებით იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 53-ე, 243-244-ე, 248-249 მუხლებით და

გადაწყვიტა:

1. სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალოს ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ 2014 წლის 27 იანვრის №OPD01/14-016 განცხადების პირველი, მე-2, მე-5, მე-7, მე-8, მე-9 და მე-10 პუნქტებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემა მისი დამუშავების შემდეგ;

3. სასარჩელო მოთხოვნა ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ 2014 წლის 27 იანვრის №OPD01/14-016 განცხადების მე-4 პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაციის გადაცემის ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;

4. მოპასუხეს დაეკისაროს მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 100 ლარის ნაწილის - 50 ლარის მოსარჩელის სასარგებლოდ ანაზღაურება. დარჩენილი ნაწილი დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილად;

5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრით თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (მის: თბილისი გრ. რობაქიძის გამზ. №7ა). სააპელაციო საჩივარი შემოტანილ უნდა იქნეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კმ.) 14 დღის ვადაში დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარეთათვის გადაცემის მომენტიდან.

მოსამართლე **ნინო ბუაჩიძე**